ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

დარიკო ჩუბინიძე

# საპროტესტო მოძრაობათა რეპრეზენტაცია ქართულ მედიაში

**(ონლაინგამოცემების: „on.ge“, „tabula.ge“ , „ambebi.ge“-ის მიხედვით)**

მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია მასობრივი კომუნიკაციისა და
მედიის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხრისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მარი წერეთელი

თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2018

# ანოტაცია


წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია, თუ როგორ აშუქებს თანამედროვე ონლაინმედია საპროტესტო მოძრაობებს. კერძოდ კი - მშრომელთა უფლებებსა და ნარკოპოლიტიკის შეცვლის მოთხოვნით გამოხატულ საპროტესტო მოძრაობებს, იმ პერიოდში, როდესაც ამ თემების აქტუალობამ და პრობლემის სიმწვავემ ქვეყანაში პიკს მიაღწია.

საკვლევ მასალად აღებულია ონლაინგამოცემებში: ,,on.ge“, ,,tabula.ge“, ,,ambebi.ge“ გამოქვეყნებული პუბლიკაციები, რომლებიც ეხმიანება მშრომელთა უფლებებისა და ნარკოპოლიტიკის შეცვლის მოთხოვნით გამართულ საპროტესტო მოძრაობებს და ამ თემებთან დაკავშირებულ ამსახველ პუბლიკაციებს.

კვლევის მიზანია, გამოავლინოს საპროტესტო მოძრაობათა გაშუქებისას ქართულ ონლაინმედიაში სადღეისოდ არსებული ტენდენციები. კერძოდ, რამდენად მრავალფეროვანია ჟანრობრივად პუბლიკაციები, რამდენად სიღრმისეულად, კვალიფიციურად ასახავს იგი საპროტესტო მოძრაობებსა და მათ მოთხოვნებს. იცავენ თუ არა თემის გაშუქებისას ჟურნალისტები ეთიკის ნორმებსა და ჟურნალისტურ სტანდარტებს.

კვლევის მეთოდად გამოყენებულია კონტენტ-ანალიზი. ნაშრომში ემპირიული მასალა შინაარსობრივად არის დამუშავებული და გამორკვეულია, რამდენად სიღრმისეულად, კვალიფიციურად და თანმიმდევრულად იყო გაშუქებული მოვლენები, ასევე, რა სიხშირით იბეჭდებოდა მასალები. შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენებით გაანალიზებულია ონლაინგამოცემებში გამოქვეყნებულ მასალათა სპეციფიკა, მათ შორის მსგავსებები და განსხვავებები.

დასკვნასა და ძირითად მიგნებებში წარმოდგენილია ის მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც კვლევისას გამოიკვეთა. ასახულია ის თავისებურებები და ძირითადი აქცენტები, რომლებიც გამოვლინდა ქართულ ონლაინმედიაში საპროტესტო მოძრაობათა გაშუქებისას. კვლევის მიხედვით დადასტურდა გამოთქმული ჰიპოთეზები, რომ

ქართული მედია მოვლენურად აშექებს საპროტესტო მოძრაობებს; არ იჩენს მუდმივ ინტერესს აღნიშნული თემატიკის მიმართ; საპროტესტო მოძრაობებისა და საკითხების გაშუქებისას ნაკლებად აქვეყნებს ანალიზურ მასალებს და მოვლენებზეა ორიენტირებული.

არსებითად გამოიკვეთა, რომ საკვლევი ქართული ონლიანგამოცემები ზედაპირულად აშუქებენ საპროტესტო მოძრაობებს და პროტესტის გამოხატვის მიზეზებს, შესწავლილი მედიასაშუალებები ხშირად არიან ტენდენციურები და არ იცავენ ბალანსს გაშუქებისას. ნაშრომში ასევე ასახულია კვლევისას გამოკვეთილი რეკომენდაციები.

## ABSTRACT

**The representation of protest movements in Georgian media**

**(According to the online publications: "on.ge", "tabula.ge", "ambebi.ge")**

**Author: Dariko Chubinidze**

The following paper describes how the contemporary online media covers the protest movements. Specifically, it describes the facts about worker's rights and the protest movements concerning changing the narcopolicy. It illustrates the period when the actuality and seriousness of these topics in Georgia reached the peak.

This research discusses the publications of three online portals ("on.ge", "tabula.ge", "ambebi.ge") concerning the worker's rights and the protest movements regarding changing the narcopolicy. The material fo the research is chosen from ,,on.ge", ,,tabula.ge", ,,ambebi.ge" – the publications which are related the worker's rights and the protest movements regarding changing the narcopolicy.

The aim of the research is to reveal the tendencies regarding the coverage of protests movements in Georgian media today. Particulary, the coal is to find out the diversity of genre if publications, as well as the qualification of these publications; does the journalists follow the norms of ethics and journalistic standards while covering these topics?

The method of the research is content analysis. The empirial material of the research is processed in the way of content and it describes whether the coverage of the topics was qualified, consistent and deep. Additionally, it describes how frequently these online publications published the material. Using the comperative analysis the research analyses the specifics, similarities and differences between the materials which were published in different online portals.

In the part of conclusion and the main findings there are described the important aspects which were found out while researching the topic. The paper illustrates the features and fundamental acents which was revealed during the coverage of protest movements by the onlinemedia.

The research proves the hipothesis, that Georgian media is cursory while covering the protest movements and the aims of these protests, the mediaorganizations which were studied for this

research are tendentious and do not follow the balance. Additionally, the paper describes the recommendations which were formulated while researching the topic.

# სარჩევი

ანოტაცია ..... 2
შესავალი ..... 7
თავი1. ლიტერატურის მიმოხილვა ..... 10
1.1. კვლევის თეორიული ჩარჩო ..... 19
1.2. კვლევის მეთოდი ..... 23
2.1. თვისებრივი მონიტორინგი ..... 29
2.2. ონლაინგამოცემების შედარებითი ანალიზი ..... 31
2.3. შრომის უსაფრთხოება და სამუშაო პირობები ..... 38
დასკვნა ..... 42
კვლევის მიგნებები: ..... 44
რეკომენდაციები: ..... 45
ბიბლიოგრაფია: ..... 46

# შესავალი

საქართველო დღეისათვის კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. სწორედ ამიტომ, მოქალაქეებს საკუთარი უფლებების, მოთხოვნებისა და ინტერესების დაცვა ხშირად ქუჩაში, საპროტესტო აქციებზე უწევთ. ბოლო წლებში გაჩნდა არასამთავრობო ორგანიზაციები, გაერთიანებები, პლატფორმები და საპროტესტო მოძრაობები, რომლებიც არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებებს მოითხოვენ. ცვლილებებს კი რამდენიმე მიმართულებით, ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის, დასაქმებულთა უფლებების, გენდერული თანასწორობის, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვის კუთხით ითხოვენ. ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომიდან აქტიურად მიმდინარეობდა დისკუსია პარლამენტის წევრებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, ნარკოპოლიტიკის ჰუმანურობაზე, თუმცა, ცვლილებები კანონმდებლობაში კვლავ არ შესულა. ამ პერიოდში რამდენიმე ადამიანი დააკავეს ნარკოტიკის მოხმარებისთვის და მათ რამდენიმეწლიანი პატიმრობაა შეეფარდათ. სწორედ ეს გახდა კიდევ ერთი საფუძველი, რომ მოქალაქეები გამოსულიყვნენ საპროტესტო აქციაზე. „თეთრი ხმაურის“ მიერ ორგანიზებული აქციები მასშტაბური ხასიათის იყო და მათ სახელმწიფოს მიმართ კონკრეტული მოთხოვნები ჰქონდათ. საპროტესოტო აქციები იმ პირობით შეწყდა, რომ მოლაპარაკებები შედგებოდა აქციის მონაწილეებსა და მთავრობას შორის, ანუ დაჩქარებული წესით მოხდებოდა ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია, თუმცა, ეს შეთანხმებაც დროში გაიწელა და კანონში ცვლილებები კვლავ არ შესულა.

ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მოთხოვნის მსგავსად არაერთხელ გაიფიცნენ დასაქმებულები, რომელთაც მხარს პროფკავშირები უჭერდა. დასაქმებული მუშები ადგილზე უსაფრთხოების ნორმების დაცვას, სამუშაო საათების შემცირებასა და საათობრივი ანაზღაურების გაზრდას ითხოვდნენ. მუშათა საგაფიცვო მოძრაობები გასულ წლებში გააქტიურდა, თუმცა მასშტაბური გაფიცვების ტალღა ჯერ კიდევ 2016 წელს დაიწყო .

ეს იყო:

1. ტყიბულელ მეშახტეთა გაფიცვა;

2. ქსნის „მინის“ ტარის მუშების გაფიცვა, რომელმაც ერთი თვე გასტანა.

3. ასევე გაიფიცნენ ზუგდიდის სამარშრუტო ტაქსის მძღოლები, რომლებიც კომპანია „მეტროს“ შემოსვლას აპროტესტებდნენ, რადგან მათ არ შეეძლოთ ამ დიდი კომპანიისთვის კონკურენციის გაწევა.

5. თბილისის მეტროპოლიტენის მემანქანეებმა გაფიცვა დააანონსეს, თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილებით მათი გაფიცვა გადაიდო.

ყველა ამ სოციალურ პროტესტს საერთო მოთხოვნები ჰქონდა: სამუშაო საათების ადეკვატური ანაზღაურება და რაც მთავარია, შრომის უსაფრთხო გარემო. ყველა შემთხვევაში მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს, თუმცა, დასაქმებულებს მაინც მოუწიათ გარკვეულ დათმობებზე წასვლა, რადგან 2016 წელს მათ გაფიცვას სახელმწიფო მხრიდან რეალური ნაბიჯი არ მოჰყოლია. მხოლოდ 2018 წლის გაზაფხულზე სახელმწიფომ გაითვალისწინა მათი მოთხოვნები და დაჩქარებული წესით კანონში შევიდა ცვლილებები, თუმცა, ეს ცვლილებები სრულად ვერ ასახავს იმ პირობებს, რომლებსაც გაფიცული მუშები ითხოვდნენ.

განვითარებული მოვლენების ფონზე, მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, რამდენად ინტერესდება ქართული ონლაინმედია ამ თემებით და რამდენად სიღმისეულად და თანმიმდევრულად აშუქებს მას. ე.წ. „მეოთხე ხელისუფლებას“ ამ მოვლენებთნ დაკავშირებით საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა აკისრია. კონკრეტულად კი - ობიექტურად ასახოს მოვლენები, იმსჯელოს ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ და ამ თვალსაზრისით უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირებულობა. მედია სწორედ ადამიანის უფლებების სადარაჯოზე უნდა იდგას, რადგან იგი დიდ როლს ასრულებს მოქალაქეების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს პლურალისტული საზოგადოებისა და სახელმწიფოს შენებაში.

გლობალურ პრობლემებს შორის მკვლევრები ყველაზე ხშირად აღნიშნავენ, რომ ინფორმაციას შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს მასობრივ ცნობიერებაზე. მასობრივ

კომუნიკაციური პროცესების განვითარება ხელს უწყობს, ზოგადად, ცივილიზაციის განვითარებას. კაცობრიობა ვერ განვითარდება ურთიერთობების გარეშე. ამასთანავე მსოფლიო და მასში არსებული ურთიერთობები ქმნიან ერთ მთლიანობას და ერთი გულისხმობს მეორეს. მასობრივი კომუნიკაცია არის ტექნიკური საშუალებების დახმარებით განსხვავებული მრავალრიცხოვანი აუდიტორიისთვის ინფორმაციის მიწოდების პროცესი.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ორი ათეული წელი გავიდა, თუმცა, ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის შემთხვევები კვლავ ხშირია, ქვეყანა ჯერ ისევ დემოკრატიისკენ მიმავალ გზაზეა. სწორედ ამიტომ, მედია წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციალურ ინსტრუმენტს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებას ამ მიმართულებით. ჟურნალისტები არიან ის ადამიანები, რომლებიც მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალებით საზოგადოების ცნობიერს აყალიბებენ და მის ფუნქციონირებასა და განვითარებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ.

მედიას  დიდი გავლენის გამო  ხშირად მოიხსენებენ როგორც „მეოთხე ხელისუფლებას“ ან „დიდ არბიტრს“. ეთიკური და მიუკერძოებელი ჟურნალისტიკა კი საზოგადოების ნდობის გარანტი ხდება.  სწორედ ამიტომ ჟურნალისტებმა უნდა დაიცვან ეთიკის ნორმები და შეინარჩუნონ ობიექტურობა ყველა სიტუაციაში. მათ უნდა გააცნობიერონ მათზე დაკისრებული პასუხისმგებლობა.

სწორედ ამ პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რაც ჟურნალისტს აკისრია, საინტერესოა, რამდენად იცავენ  ქართველი ჟურნალისტები საპროტესტო მოძრაობათა გაშუქებისას ბალანსს, ვინ არიან მათი წყაროები,  რამდენად ტენდენციურები არიან.

# თავი1. ლიტერატურის მიმოხილვა

ბოლო პერიოდში საპროტესტო მოძრაობების ძირითადი მოთხოვნები კანონში შესატანი ცვლილებები იყო, როგორც ნარკოტიკების შენახვა-მოხმარების, ასევე სამუშაო ადგილებზე უსაფრთხო გარემოსა და პირობების გაუმჯობესების კუთხით. ცივილიზებული კაცობრიობის ისტორიის არსებობის მანძილზე, ადამიანის უფლებებს პრიორიტეტული ადგილი უკავია. იგი უზრუნველყოფს სახელმწიფოში მატერიალურ სიკეთეთა სამართლიან გადანაწილებას საზოგადოების თითოეულ წევრზე. ადამიანის უფლებების დაცვის მიუხედავად, რაც კანონით არის დაცული ჩვენს საზოგადოებაში, ხშირად ვაწყდებით მათი დარღვევის ფაქტებს. საქართველოს კანონმდებლობით საქართველოს მოქალაქის შრომის უფლებები ასე განისაზღვრება:

1. შრომა თავისუფალია.

2.სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

3.შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ.

4. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით. (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 30, 15.10.2010. N3710)

ადამიანის უფლებების დაცვის საკითხთან დაკავშირებით შექმნილი საერთაშორისო ხელშეკრულებები საზოგადოების სოციალურ მდგომარეობას განამტკიცებს და ადგენს გარკვეულ სტანდარტებს. „ადამიანის უფლებებს იცავს გაეროს და ევროსაბჭოს მიერ მიღებული სხვადასხვა კონვენცია, მაგრამ მათგან განსაკუთრებით საყურადღებოა ევროპის სოციალური ქარტია, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ

რატიფიცირებულ იქნა 2005 წლის 1 ივლისს. იგი ძირეულად აწესრიგებს ადამიანის სოციალურ უფლებათა დაცვისა და განხორციელების გზებს, განსხვავებით საერთაშორისო ხელშეკრულებებისაგან, რომლებიც მხოლოდ ამ უფლებების აღიარებით შემოიფარგლებიან.“ (რუსუდან ვარსიმაშვილი, შრომის უფლება, როგორც სოციალური უფლება საქართველოში და მისი საკანონმდებლო ხარვეზები,).

ევროპის სოციალური ქარტიის  კონვენცია, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წელს რატიფიცირდა, ადამინის შრომის უფლებებს შემდეგნაირად განიხილავს:

- ყველა ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფლად არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობებისა და უმუშევრობის წინააღმდეგ დაცვის უფლება.

- ყველა ადამიანს, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, აქვს უფლება, მიიღოს სხვების თანაბარი ანაზღაურება მათი თანაბარი სამუშაოს შესრულებისათვის.

- ყველა ადამიანს, რომელიც მუშაობს, აქვს უფლება, მიიღოს სამართლიანი და სათანადო ანაზღაურება, რომელიც უზრუნველყოფს მას და მის ოჯახს ადამიანის ღირსების შესატყვისი არსებობით და საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს სოციალური დაცვის სხვა სახეები. (ევროპის სოციალური ქარტია).

რატიფიცირების მიუხედავად საინტერესოა, თუ რამდენად შესაძლებელია შრომის სამართლიანი პირობების დაცვა ჩვენს ქვეყანაში. ღირსეული სოციალური პირობების შექმნა და დაცვა სახელმწიფოს აქტიური თანადგომის გარეშე შეუძლებელია. განათლებას, სოციალური გარანტიების უზრუნველყოფას გარკვეული ფინანსები ესაჭიროება, განსხვავებით შრომის უფლებების დაცვისაგან, რა თქმა უნდა, თუ არ ჩავთვლით უმუშევრობისაგან დაცვის პროგრამას, რაც ჩვენს ქვეყანაში,  ფაქტობრივად, არ მუშაობს.

„შრომის უფლების ნორმალურად განხორციელებისათვის უნდა არსებობდეს გამართული  საკანონმდებლო ბაზა, რომელშიც დარეგულირებული იქნება შრომით ურთიერთობაში მონაწილე მხარეების უფლება-მოვალეობანი.“ (რუსუდან ვარსიმაშვილი,

შრომის უფლება, როგორც სოციალური უფლება საქართველოში და მისი საკანონმდებლო ხარვეზები).

თავისთავად, შრომის უფლება მოიცავს მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა უფლებასა და მოვალეობას. სინამდვილეში იგი არ არის ადამიანის ცალკე მდგომი უფლება, ეს „უფრო რთული ნორმატიული ერთობაა... ისეთ დებულებათა ნაკრებია, რომელიც თანაბრად ითვალისწინებს როგორც ტრადიციულ თავისუფლებებს, ისე უფლებებისადმი თანამედროვე მიდგომებსა და ვალდებულებებზე ორიენტირებულ პერსპექტივას, რომელიც მოიცავს მკაცრად განსახორციელებელ სამართლებრივ მოვალეობებს და პოლიტიკურ ვალდებულებებს“ (კ.დრჟევიცკი, გვ.173).

ეს კი იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე გაგებით შრომის უფლება მხოლოდ სახელმწიფოს ან დამსაქმებელ კომპანიას არ აკისრებს ვალდებულებებს, ეს ორმხრივი შეთანხმებაა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის, სადაც ორივეს გარკვეული პასუხისმგებლობა ენიჭება: „შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით“. (საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 2, შრომითი ურთიერთობა, 2. საქართველოს 2013 წლის 12 ივნისის ორგანული კანონი N729).

შრომის უფლება ადამიანს ანიჭებს ღირსების ელემენტს, რომ არაფერი ვთქვათ ანაზღაურებაზე, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია ცხოვრების სათანადო დონის უზრუნველყოფისათვის. ამიტომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მოქალაქეების დასაქმებას. სწორედ ამიტომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი აღიარებს „ყველა ადამიანის უფლებას, ჰქონდეს შესაძლებლობა, მოიპოვოს საცხოვრებლად საჭირო სახსრები მის მიერ თავისუფლად არჩეული ან მოპოვებული სამუშაოს მეშვეობით“. (ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, მუხლი 6 (1).

გარდა შრომის უფლებებისა, საპროტესტო მოძრაობების მოთხოვნა ნარკოლიბერალიზაცია იყო. საინტერესოა, რა ვითარებაა ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის კუთხით საქართველოსა და მსოფლიოში.

2011 წელს გაეროს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა, კოფი ანანმა გააკეთა ისტორიული განცხადება -კერძოდ, მან თქვა, რომ ნარკოტიკებთან ომი მსოფლიომ წააგო და დღეს, ნარკოტიული საშუალებების შესახებ გაეროს კონვენციის მიღებიდან 50 წლის შემდეგ, მსოფლიოს სასწრაფოდ ესაჭიროება ნარკოპოლიტიკის ფუნდამენტური რეფორმა: „აკრძალვამ არ შეამცირა არც მოთხოვნა და არც მიწოდება. თუ რომელიმე რეგიონში ბრძოლა წარმატებას აღწევს, წარმოება გადადის სხვა რეგიონში, ნარკოტიკების ტრანზიტი იცვლის მარშრუტს ან მომხმარებლები გადადიან სხვა ნარკოტიკზე. აკრძალვამ მნიშვნელოვნად ვერ შეამცირა ნარკოტიკების მოხმარებაც. კვლევები არ ამტკიცებენ კავშირს კანონების სიმკაცრესა და მოხმარების დონეს შორის. კრიმინალიზაცია, ციხეების გადაჭედვა და ადამიანების დასჯა კი გვაჩვენებს, რომ რაღაც გაგებით, ნარკოტიკებთან ომი არის ომი ნარკომომხმარებლებთან, ანუ ომი ადამიანებთა“. ანანს არ დაუკონკრეტებია, თუ რატომ ვერ შეამცირა მსოფლიომ მოთხოვნა და მიწოდება, თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს სიტყვები შეიძლება ჩავთვალოთ ერთგვარ წყალგამყოფად ნარკოპოლიტიკაში, სულ მცირე, მსოფლიოს იმ ნაწილისთვის მაინც, რომელსაც ჩვენ „დასავლურ სამყაროს“ ვუწოდებთ (ზვიად ავალიანი (2017) რა უნდა ვიცოდეთ ნარკოპოლიტიკის შესახებ).

ევროპაში ნარკოტიკების მოხმარების ზრდასთან დაკავშირებით იკვეთება ახალი ტენდენციები კანონთა გამოყენების პრაქტიკაში. საერთო შემთხვევაში, როდესაც ნარკოტიკების პირადი მოხმარება არ არის დაკავშირებული მის გაყიდვასთან ან სხვა რაიმე დამამძიმებელ გარემოებასთან, სასამართლო ხელისუფლება თავს არიდებს ნარკოტიკების მომხმარებელთათვის პატიმრობის სასჯელის გამოტანას, ნაცვლად ამისა, უპირატესობა ენიჭება ადმინისტრაციულ, სამედიცინო და საზოგადოებრივი ხასიათის ღონისძიებებს. მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შენარჩუნებულია ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ პატიმრობას მხოლოდ ნარკოტიკების მოხმარებისათვის.

ევროსაბჭოს წევრ-ქვეყნების უმეტესობა თავის კანონმდებლობაში მიჯნავს განსხვავებას ერთის მხრივ, წამალდამოკიდებულებასა  და ნარკოტიკული საშუალებების წარმოების, გადატანასა და ვაჭრობასთან დაკავშირებულ დანაშაულებებსა და მეორეს მხრივ, დამოკიდებული პირის ან შემთხვევითი მომხმარებელის მიერ პირადი მოხმარების მიზნით მსგავსი ნივთიერებების გამოყენებას შორის. ნარკოტიკების არასისტემეტური პირადი მოხმარების შემთხვევებში, დამამძიმებელი გარემოებების გარეშე, ევროსაბჭოს უმეტესი წევრ-ქვეყნების სასამართლო სისტემებს შეუძლიათ შესთავაზონ მომხმარებელს, თავი შეიკავოს ნარკოტიკული საშუელებების შემდგომი მიღებისაგან, დაადოს მას ჯარიმა, ანდა გამოიყენოს ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებანი (მაგ. შეაჩეროს მძღოლის მოწმობის მოქმედება ან ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის უფლების ნებართვა, ჩამოართვას პირადობის მოწმობა) (ნარკოტიკების უკანონო მოხმარება და ევროსაბჭოს წევრ ქვეყნების კანონმდებლობა).

დასავლური გამოცდილების, კერძოდ კი,  პორტუგალიის მაგალითი აქვს განხილული ზვიად ავალიანს ვრცელ სტატიაში „რა უნდა ვიცოდეთ ნარკოპოლიტიკის შესახებ“.  სტატიაში აღნიშნულია, რომ პორტუგალიაში ნარკოტიკული ნივთიერებების დეკრიმინალიზაცია წარმატებული მხოლოდ იმიტომ აღმოჩნდა, რომ ქვეყანაში შეიქმნა სარეაბილიტაციო დაწესებულებები, - „2001 წლიდან პორტუგალიაში ძალაში შევიდა ნარკოპოლიტიკის სრულიად უნიკალური და მანამდე უპრეცედენტო მოდელი  – ერთ მხრივ მოხდა ყველა ნარკოტიკის მოხმარების დეკრიმინალიზაცია, ხოლო მეორე მხრივ, ამოქმედდა ასევე უპრეცედენტოდ მძლავრი სარეაბილიტაციო სისტემა, რომელიც მოიცავს ასობით ცენტრს მთელი ქვეყნის მასშტაბით და ა.შ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტი, რადგან საქართველოში პორტუგალიურ მოდელზე საუბრისას ხშირად განიხილავენ მხოლოდ დეკრიმინალიზაციის ასპექტს და ყურადღების მიღმა რჩება რეაბილიტაციის ასპექტი მაშინ, როცა პორტუგალიური მოდელი ჩაფიქრებული იყო და განხორციელდა კიდეც როგორც ამ ორი კომპონენტის განუყოფელი მთლიანობა“.

ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკა ევროკავშირის სტანდარტებთან

შესაბამისობაში მოიყვანოს და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი სახელმწიფო სტრატეგია შექმნას. ახალმა სტრატეგიამ უნდა შეამციროს ნარკოტიკებზე მოთხოვნა, ნარკოტიკების ავადმოხმარების გამო, წამალდამოკიდებულისა და საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანი და რაც მთავარია, ნარკომომხმარებლის დასჯის პოლიტიკა მის მკურნალობაზე ორიენტირებული მიდგომით შეცვალოს (მანანა ვარდიაშვილი (2014) ნარკოპოლიტიკა- წამალდამოკიდებულებთან ბრძოლის იარაღი).

დღეს საქართველოში არსებული კანონმდებლობა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებასა და შეძენა-შენახვაზე გაცილებით მკაცრია, ვიდრე სხვა ევროპულ ქვეყნებში.

მუხლი 260. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (25.07.2006 N 3530)

1. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტ წლამდე. (3.07.2007 N5184)

2. იგივე ქმედება, ჩადენილი: (3.07.2007 N5184)

ა) დიდი ოდენობით;

ბ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

დ) არაერთგზის;

ე) იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება,

ჩადენილი:

ა) განსაკუთრებით დიდი ოდენობით;

ბ) ორგანიზებული ჯგუფის მიერ, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით. (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი).

სწორედ ამ კანონის ლიბერალიზაციის მოთხოვნით გამოვიდა საზოგადოების ნაწილი ქუჩაში და ე.წ. „რეპრესიული ნარკოპოლიტიკა“ გააპროტესტა. სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია მოუწოდებს ხელისუფლებას რომ ევროპული ქვეყნების მაგალითზე დაყრდნობით შეცვალოს არსებული ნარკოპოლიტიკა და ის უფრო ჰუმანური გახადოს.

ქვეყნის გამოცდილება და მოდელი თავისთავად ვერ გამოადგება სხვა ქვეყანას, თუ არ იქნა გათვალისწინებული კონკრეტული ქვეყნის რეალობა და მის წინაშე მდგარი ამოცანები. შესაბამისად, ახალი ქართული ნარკოპოლიტიკის შემუშავებისას ქართულმა საზოგადოებამ და სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა განსაზღვროს ის, თუ რამდენად ჰგავს საქართველო იმ ქვეყნებს, რომელთა მაგალითსაც განვიხილავთ, რა არის საქართველოს სპეციფიკა, რა ამოცანების გადაჭრას ვისახავთ მიზნად უშუალოდ ნარკოპოლიტიკით და როგორ წარმოგვიდგენია სახელმწიფოს როლი პრევენციის სტრატეგიაში.

საზოგადოებრივი პროტესტის გააქტიურების ფონზე, საინტერესოა როგორ ასახავს ქართული ონლაინმედია ამ მოვლენებს. ჯერ კიდევ 2015 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ გამოაქვეყნა კვლევა „მოსახლეობა მედიისგან სოციალური პრობლემების გაშუქებას ელის“, რომელშიც აღნიშულია, რომ მოსახლეობა ჟურნალისტების უმნიშვნელოვანეს როლს სოციალური პრობლემების გაშუქებაში ხედავს („საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო“(2015) „მოსახლეობა მედიისგან სოციალური პრობლემების გაშუქებას ელის“).

„დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებაში მედიის როლი განისაზღვრება იმით, თუ როგორ და რამდენად შეუძლია მას ჩასწვდეს და გაანალიზოს მიმდინარე პროცესები, უზრუნველყოს სახელმწიფოს ადმინისტრაციული და სხვა სისტემების საქმიანობის გამჭვირვალობა და ამით დემოკრატიული მმართველობის ერთგვარი გარანტი გახდეს“ (ნინო შოშიტაიშვილი, ტელემედიის თავისუფლება და დამოუკიდებლობა პოსტრევოლუციურ (2003-2009) საქართველოში).

„უდავოა, რომ მედიას დიდი გავლენა აქვს, ის თანამედროვე ადამიანის ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია. საზოგადოება დამოკიდებულია მის არსებობასა და შინაარსზე“ (დეფლორი მ.დენისი ე. (2009) შესაბამისად, ჟურნალისტის პასუხისმგებლობაც იზრდება, მის მიერ მომზადებული მასალა იყოს ობიექტური, დაბალანსებული და არაზედაპირული.

მედიის ძალისა და გავლენის ნათელსაყოფად საკმარისია გავიხსენოთ გამონათქვამი: „ადამიანები და თემები, რომელთაც მედია არ განიხილავს, უბრალოდ, არც არსებობენ“. მედიის თვითრეგულირების სისტემების ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარი, პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი კლოდ ჟან ბერტრანი, რომელმაც მნიშვნელოვანი ექსპერტული დახმარება გაუწია ქართულ მედიას ჟურნალისტური ეთიკის ინსტიტუციონალიზაციის თვალსაზრისით, 2003 წელს საქართველოს შესახებ ევროსაბჭოსთვის გაკეთებულ ანგარიშში წერდა: „სავსებით ბუნებრივია, რომ ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში ჟურნალისტები მიდრეკილნი არიან, უარყონ „სოციალური პასუხისმგებლობა“, როგორც სახელმწიფო კონტროლის შელამაზებული ფორმა. შესაბამისად, ისინი უარყოფენ ეთიკის კოდექსებს“. პროფესორი ბერტრანი ასევე მიუთითებდა პოსტ-საბჭოურ სივრცეში თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ცნებების არასრულფასოვან აღქმაზე (მედია ეთიკა და პროფესიული სტანდარტები, მედიის განვითარების ფონდი, MDF 2013).

მეორე მხრივ, როცა ყველაფერი ეთიკური სტანდარტების დაცვით შუქდება, ჟურნალისტი საზოგადოებას შესაძლებლობას აძლევს, პრობლემა გაიაზროს, გაიგოს ყველა მხარის პოზიცია, დასკვნა თავად გააკეთოს და არა ჟურნალისტის მიერ

ინტერპრეტირებული ან თავსმოხვეული მოსაზრებით იხელმძღვანელოს. ამ ყველაფერს განსაზღვრავს „ხარისხის კონტროლი“. ეს ტერმინი, რომელიც მედიასამყაროში აქამდე ნაკლებად იხმარებოდა, ფართო სპექტრს მოიცავს, კერძოდ, პერსონალურ ეთიკას, მედიაეთიკას და მენეჯმენტის მხრიდან ნებისმიერ ინიციატივას, უკეთ ემსახუროს საზოგადოებას. „ხარისხის კონტროლის“ უპირატესობა კი იმაში ვლინდება, რომ ის ნეიტრალურია, ამდენად სოციალური კომუნიკაციის ყველა მონაწილე მხარის დაკმაყოფილება შეუძლია. (ბერტრანი,2004, 36-37).

2003 წლის შემდეგ ვითარება საქართველოში ნელა, თუმცა, ეტაპობრივად იცვლება. შეიქმნა თვითრეგულირების ინსტიტუციონალური მექანიზმები: მაუწყებლობის შესახებ კანონმა დაავალდებულა მაუწყებლები, შექმნან მოქალაქეთა საჩივრების განხილვის ეფექტიანი და გამჭვირვალე მექანიზმები. 2009 წელს კი კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ დაამტკიცა მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, რომელიც ჟურნალისტთა პროფესიული ქცევის სტანდარტებს განსაზღვრავს და რომელთა დარღვევის შემთხვევაში, მოქალაქეებს აქვთ უფლება, ცალკეული მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს საჩივრით მიმართონ. 2009 წლის 4 დეკემბერს შეიქმნა ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, რომელიც დღეისათვის 242 წევრს აერთიანებს და რომლის 9 წევრიანი საბჭო მედიის მხრიდან პროფესიული სტანდარტების და ქარტიით დეკლარირებული ნორმების დარღვევის შემთხვევებს, შესული საჩივრების საფუძველზე განიხილავს.

გარდა ინსტიტუციონალური მექანიზმებისა, მედიაკრიტიკის კუთხით არასამთავრობო ორგანიზაციები თემატურ მონიტორინგებს ახორციელებენ და სწავლობენ მედიის მხრიდან პროფესიული სტანდარტების დარღვევის ტენდენციებს. საბოლოოდ, ამ მექანიზმების მიზანია მედიაგაშუქების ხარისხის ამაღლება, რაც უპირველეს ყოვლისა, პროფესიული პასუხისმგებლობის გაზრდას და პროფესიის მიერ იმის ადეკვატურ გააზრებას გულისხმობს, რომ უფლება და პასუხისმგებლობა ურთიერთდამოკიდებული ცნებებია (მედია ეთიკა და პროფესიული სტანდარტები, მედიის განვითარების ფონდი, MDF 2013).

## 1.1. კვლევის თეორიული ჩარჩო

ვინაიდან, კვლევის მიზანია იმის ჩვენება, თუ როგორ ასახავს ქართული ონლაინმედია საპროტესტო მოძრაობებს და მასთან დაკავშირებულ თემებს, უდავოდ მნიშვნელოვანია, თუ როგორ არის წარმოჩენილი საპროტესტო მოძრაობები და მასში მონაწილე სუბიექტები. რა ფრაზებითა თუ ტერმინებითაა აღწერილი მომხდარი, როგორი ინტერპრეტაცია აქვს თემას. ამგვარი ანალიზის საშუალებას ფრეიმინგის თეორია გვთავაზობს.

,,ფრეიმი" ინგლისური სიტყვაა და მნიშვნელობათა ფართო წრეს მოიცავს. ფრეიმის ლექსიკოლოგიური ექვივალენტია - ჩარჩო, სქემა, გეგმა, შაბლონი. ირვინ გოფმანი წერდა, რომ ფრეიმი არის გარკვეული სქემა, რომელიც ადამიანებს ეხმარება სტრუქტურირებული სახით აღიქვას გარკვეული სახის ინფორმაცია. (გოფმანი, 2015)

ფრეიმინგი, ანუ ჩარჩოს შედგენა, განიმარტება როგორც ცენტრალურად ორგანიზებული იდეა მედია-კონტენტში. ფრეიმის დახმარებით, ჟურნალისტები აუდიტორიას სთავაზობენ მზა კონტექსტებს, შეფასებებს და ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის გზებს. ფრეიმები ურჩევენ საზოგადოებას, თუ როგორ იფიქრონ ამა თუ იმ საკითხზე. ახალი ამბების კონტექსტში რომ განვიხილოთ, ფრეიმი (ჩარჩო) აუდიტორიას სთავაზობს პრობლემის დეფინიციას, ამ პრობლემის მისეულ ინტერპრეტაციას, მორალურ შეფასებებს და მისი გადაჭრის გზებს (Entman, 1993).

ფრეიმინგის არსის აღწერისას მასკომუნიკაციის მკვლევრები სხვადასხვა პრაქტიკულ მაგალითებს იყენებენ, რაც მკითხველს ამ თეორიის უკეთ გააზრებაში ეხმარება. დღეს შეიძლება მასმედიის ძალის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა იყოს,თუმცა ფაქტია რომ სწორედ მედიასაშუალებები წყვეტენ რა სახით და როგორ გადასცენ საზოგადოებას ინფორმაცია, რაც ცალსახად მიუთითებს მათ ძალაზე.

ნებისმიერი მედიაორგანიზაციის ხელმძღვანელი ცდილობს საკუთარ აუდიტორიაზე ზეგავლენა მოახდინოს. მსგავსი შედეგები კი სელექციისა და ფრეიმინგის

გამოყენებით მიიღწევა. ბილ-როკიჩი და ცანტორი (1086) ამბობდნენ, რომ ყველგან სადაც მედია არსებობს, მისი ძალაუფლება რამდენიმე ადამიანის ხელშია, შესაბამისად ფრეიმინგისა და სელექციის მექანიზმების გარეშე შეუძლებელია გავიგოთ იმ გზავნილების ფარული არსი, რომელსაც მედიასაშუალებები საზოგადოებას აწვდიან.

ფრეიმინგის მშენებლობისას მნიშვნელოვანი ფაქტორებია - ჟურნალისტური ნორმები, პოლიტიკოსები და კულტურული კონტექსტი, სადაც იქმნება მედიაპროდუქტი. კვლევებმა აჩვენა, რომ სულ მცირე 5 ასპექტი ახდენს გავლენას იმაზე, თუ როგორ იქმნება ჟურნალისტის მიერ ფრეიმები. ეს არის - სოციალური ნორმები და ღირებულებები, ორგანიზაციის გავლენა მედიაზე, ინტერესთა ჯგუფებისა და პოლიტიკოსების გავლენა მედიაზე, პროფესიონალები, იდეოლოგიური ან პოლიტიკური ორგანიზაციები.

მეორე პოტენციური გავლენაა- ელიტა, ინტერესთა ჯგუფები, მთავრობა და სხვა პოლიტიკური ან კორპორატიული ჯგუფები. ფრეიმის მშენებლობაზე გავლენას ახდენს ასევე კულტურული კონტექსტი. ეს ის შემთხვევაა, როცა სხვადასხვა კულტურულ ჯგუფში შესაძლებელია განსხვავებული ფრეიმი ჩამოყალიბდენ, იმისდა მიხედვით, თუ რა ხედვა, მოლოდინები, კულტურული იდენტობა თუ გამოცდილება აქვს საზოგადოებას.

დეფლერი (DeFleur, 2009) განმარტავდა, რომ სელექცია და ფრეიმინგი აუდიტორიაზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებებია. ფრეიმინგის გავლენა საზოგადოებაზე დიდია თუ აუდიტორია კარგად არ იცნობს საკითხს, ამ დროს, რა თქმა უნდა, ის მთლიანად მედიის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზეა დამოკიდებული, რადგან ფრეიმინგი წარმოადგენს კონკრეტულ ფაქტებს და უკუადგებს სხვებს, შესაბამისად, განისაზღვრება რა არის მნიშვნელოვანი და რა არა.

ფრეიმები, ასევე მოქმედებს, როგორც მაორგანიზებელი, დამხმარე საშუალება, რომელიც ჟურნალისტს შინაარსის შერჩევაში ეხმარება. ფრეიმინგის გამოყენების მეთოდები ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: ექსპოზიციური და აღწერითი.

ექსპოზიციური მეთოდი: მოიცავს ისეთ სელექციებს, რომლებიც წყვეტს გაშუქდეს თუ არა ინფორმაცია, რა სიხშირით და რამდენი ხნით უნდა გაშუქდეს ესა თუ ის ამბავი, სად უნდა გამოჩნდეს და რა დრო უნდა დაეთმოს.

აღწერითი მეთოდი: გულისხმობს თუ როგორ არის ესა თუ ის ისტორია გაშუქებული, რა ინფორმაციაა მოწოდებული, რომელი ფაქტებია გაანალიზებული და რომელი გამოტოვებული.

ტეჩმენი (Tuchman, 1978) წერდა, რომ ფრეიმები მოვლენების მარტივად და გასაგებად ახსნისთვის გამოიყენება. ამგვარად, მედიისთვის ჩვეულებრივი ამბავი ტრანსფორმირდება, როგორც მოვლენა, მოვლენა კი, როგორც ახალი ამბავი. ამრიგად, მედია თამაშობს დიდი როლს ისეთი ფაქტებისთვის ღირებულებების მინიჭების პროცესში, რაც სხვა შემთხვევაში ჩვეულებრივი მოვლენა იქნებოდა და ყურადღებასაც არავინ მიაქცევდა.

- **ფრეიმინგი და ონლაინმედია**

თანამედროვე სამყაროში მასმედიის ეფექტის ორი თეორიის - ფრეიმინგისა და ინტერნეტის ეფექტის ერთობლივად განხილვა საკითხის ახლებურად დანახვის შესაძლებლობას იძლევა. უმეტეს შემთხვევაში, მკვლევარები ფრეიმინგის თეორიაზე ტრადიციული მედიის ფონზე მსჯელობენ (Tewksbury, Scheufele 2009). საინტერესოა აღნიშნული თეორიის სხვა კუთხიდან გააზრება. მით უმეტეს მაშინ, როცა ინტერნეტის, სოციალური მედიის როლი და მნიშვნელობა საგრძნობლად გაზრდილია დღევანდელ ცხოვრებაში (Lin, 2009).

ჟურნალისტები სხვადასხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხის გაშუქებისას ირჩევენ ხატებს, სიტყვებს, რათა გავლენა მოახდინონ საზოგადოების წარმოდგენებზე. ეს პროცესი, ნაწილობრივ, ფრეიმინგის ეფექტთანაა დაკავშირებული (Tewksbury, Scheufele, 2007) .ფრეიმის ცნებას მედიის მკვლევრები იყენებენ ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა

ხერხის აღსანიშნავად. ამ ფუნქციების შესასრულებლად ხშირად გამოიყენება სხვადასხვა საშუალება: მეტაფორა, მაგალითი, ყველაზე მნიშვნელოვანი ფრაზა, ნახატები, ვიზუალური გაფორმება (Gamson, Lasch, 1983).

ფრეიმინგის თეორია გულისხმობს, რომ ის ჟურნალისტებს გარკვეულ ჩარჩოში აქცევს ინფორმაციის მიწოდების კუთხით. გოფმანი (1974) ჩარჩოს უკავშირებდა მეტყველების, კომუნიკაციის ხელოვნების საშუალებებს. კომუნიკატორი აძლევს საშუალებას სხვა კომუნიკატორს მთელი მისი კონტენტი ჩაჯდეს ჩარჩოში.

ვივერის (2006) აზრით, ფრეიმინგის თეორიაში უფრო მეტად აქცენტი კეთდება შინაარსობრივ ნაწილზე, კაუზალურ შედეგებზე, მორალურ გამოწვევებსა თუ პასუხისმგებლობის შემცველ საკითხებზე.

ადამიანებს სოციალური მედიის საშუალებით შეუძლიათ ერთმანეთთან გააზიარონ საინტერესო აზრები, იდეები, მოვლენები და მიიღონ უკუკავშირი. ადამიანებს ვირტუალურად შეუძლიათ ეკონტაქტონ ერთმანეთს, გაერთიანდნენ ვირტუალურ თამაშებში (კაპლანი, ჰენლენი, 2010).

ჰეივუდი (2007) მსჯელობს ინტერნეტის მნიშვნელობასა და ეფექტზე. ინტერნეტში ჩართულობის განუხრელი რიცხვის ზრდის შედეგად საინფორმაციო საშუალებებმა თითოეული ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულოს. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ დღეს საზოგადოება უფრო მეტადაა მიჯაჭვული მედიაზე, ინტერნეტზე, ონლაინმედიაზე ვიდრე აქამდე იყო.

ფრეიმების შედგენაზე გავლენას ახდენს შიდა და გარე ფაქტორები, საინტერესოა რა სახითა და რა დოზით იჩენს თავს ორივე ფაქტორი სოციალური მედიის ახალი ამბების ჩარჩოს შექმნისას. ასევე საინტერესოა სახეების, ფოტოების, ხატების მიხედვით ქართული ონალინმედია როგორ ჩარჩოებს ქმნის საპროტესტო მოძრაობების ასახვისას.

## 1.2. კვლევის მეთოდი

კვლევის მეთოდად შერჩეულია  კონტენტ-ანალიზი, რადგან ის  ყველაზე უფრო აპრობირებული და შესაბამისი ტექნიკაა ტექსტის შესწავლისა და გაანალიზებისათვის. სწორედ თვისებრივი კონტენტ-ანალიზის საშუალებით არის შესაძლებელი სტატიების, მოხსენებების ისტორიული მასალებისა და სატელევიზიო კონტენტის, იგივე შინაარსის კვლევა.

კონტენტ-ანალიზი მოიცავს ორ კომპონენტს: მექანიკურს და ინტერპრეტაციულს. მექანიკური ასპექტი ნიშნავს ტექსტის ორგანიზებას და მონაცემების კატეგორიებად დაყოფას, ხოლო ინტერპრეტაციული მოიცავს იმის დასაბუთებას, თუ რომელი კატეგორიაა მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე. ეს ორი კომპონენტი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული (თ.ზურაბიშვილი, 2006).

კონტენტ- ანალიზი რამდენიმე ეტაპად ხორციელდება:  პირველ ეტაპზე გამოიყოფა საკვლევი პოპულაცია, მედიასაშუალებების ის სიმრავლე, რომელთა შინაარსშიც იდენტიფიცირებულია მკვლევრისთვის საინტერესო საკითხი; შემდეგ გამოიყოფა კონკრეტული საკვლევი საკითხი ან ჰიპოთეზა და ის ცვლადები, რომელთა კორელაციამაც საკვლევი საკითხი უნდა გააანალიზოს, ან დაადასტუროს ან უარყოს მკვლევრის მიერ წამოყენებული ჰიპოთეზა. მეორე ეტაპზე გამოიყოფა ანალიზის ერთეული, სიტყვა-გასაღები ან შეტყობინება-გასაღები; მესამე ეტაპზე ხდება იმ შინაარსობრივი კატეგორიების იდენტიფიცირება, რომელთა მიხედვითაც ხდება საზრისისეული ერთეულის კატეგორიზაცია. მეოთხე ეტაპზე ხდება რაოდენობრივი მაჩვენებლების დათვლა, სანდოობის კოეფიციენტის დადგენა მიღებული სტატისტიკური პროცედურების მეშვეობით. დასკვნითი ეტაპი არის მიღებული მონაცემების გაანალიზება, ტენდენციების გამოკვეთა და დასკვნების გამოტანა.

## 1.3.კვლევის დიზაინი

- **კვლევის მიზანი**

კვლევის მიზანია, ქართულ ონლაინმედიაში შევისწავლოთ კონკრეტულად საპროტესტო მოძრაობების გაშუქების თავისებურებანი, საპროტესტო მოძრაობების მოთხოვნები, ასევე დავადგინოთ, რამდენად არის დაცული ამ თემების გაშუქებისას პროფესიული სტანდარტი, რამდენად ანალიზურად და სიღრმისეულად ასახავს ონლაინმედია სოციალურ პრობლემებს.

- **საკვლევი კითხვები**

წლიდან წლამდე მედიის საშუალებით ვეცნობით არაერთ ანგარიშს ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ, იქნება ეს შრომითი უფლებები თუ სხვა დარღვევები. მედიაც ყოველთვის აშუქებს ამ ანგარიშებს, თუმცა საკითხავია, ახერხებს თუ არა კვლევების შედეგად მიღებული სტატისტიკური მონაცემების გარდა, გამოვლენილ ხარვეზებს დაუთმოს ყურადღება, სიღრმისეულად იკვლიოს, გაანალიზოს.

ზოგადად, მედია ყოველთვის იჩენს ინტერესს საპროტესტო აქციებისა და საგაფიცვო მოძრაობების მიმართ, თუმცა, საპორტესტო აქციების დამთავრებისთანავე გაფიცულების პრობლემები აღარ არის ხოლმე ჟურნალისტების დაინტერესების საგანი.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ამ საკითხის კვლევა შემდეგი მიმართულებით:

- ❖ აშუქებს თუ არა თანამედროვე ქართული ონლაინმედია საპროტესტო მოძრაობებს თანმიმდევრულად და კვალიფიციურად;
- ❖ იცავს თუ არა პუბლიკაციებში საპროტესტო მოძრაობების გაშუქებისას პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს;
- ❖ რამდენად ანალიზურ და სიღრმისეულ მასალას სთავაზობს მედია მკითხველს, უზრუნველყოფს თუ არა იგი აუდიტორიის ინფორმაციულობას.

- **კვლევის ჰიპოთეზა**

RH1: ქართული ონლაინმედია მოვლენურად აშუქებს საპროტესტო მოძრაობებსა და მასთან დაკავშირებულ საკთხებს, არ იჩენს მუდმივ ინტერესს აღნიშნული თემატიკის მიმართ;

RH2: ქართული ონლაინმედია უმეტესად ტენდენციურია საპროტესტო მოძრაობებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას;

RH3: ჟურნალისტები არ იცავენ პროფესიულ სტანდარტებს და ეთიკის ნორმებს;

- **საკვლევი მასალა/ საკვლევი პერიოდი**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გასული თვეების განმავლობაში რამდენიმე საპროტესტო მოძრაობა დაიწყო. ჩვენთვის საინტერესო იყო გვეკვლია პერიოდი, სანამ საპროტესტო აქციები დაიწყებოდა, ასევე მიმდინარეობის და მათი დასრულების შემდეგ, პოსტფაქტუმ. გვაინტერესებს, მისდევდა თუ არა წამოჭრილ სოციალურ პრობლემებს მედია, ინტერესდებოდა თუ არა აქციის მონაწილეთა მოთხოვნებით.

საკვლევად შევარჩიეთ 2017 წლის ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი და 2018 წლის იანვარი, თებერვალი, მარტი იმ ნიშნით, რომ სწორედ ამ პერიოდში იყო აქტიური სამოქალაქო საზოგადოება.

საკვლევ მასალად ავარჩიეთ სამ ონლაინგამოცემაში (“on.ge” , “ambebi.ge”, “tabula.ge”) გამოქვეყნებული საპროტესტო აქციების ამსახველი მასალები. ამგვარი არჩევანი რამდენიმე კონკრეტულმა ფაქტორმა განაპირობა. პირველი, ჩვენს საკვლევ არეალში, კვლევის მიზნიდან გამომდინარე, განსხვავებული სარედაქციო პოლიტიკის მქონე ონლაინმედია უნდა მოხვედრილიყო. სააგენტო “on.ge” შედარებით ახალია მედიაბაზარზე, თუმცა, ხარისხიანი პროდუქტის გამო ის საკმაოდ მაღალი ნდობით სარგებლობს საზოგადოებაში. „Tabula.ge” – 2010 წლიდან მოიცავს ტელევიზიას, ჟურნალსა

და ონლაინმედიას, რომელიც ძირითადად ფაქტებზე დამყარებულ ანალიზს სთავაზობს საზოგადოებას. „ambebi.ge”- არის მედიაჰოლდინგ ინტერპრესნიუსის შვილობილი ონლაინმედია, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს, როგორც პოლიტიკურ და სოციალური თემების გაშუქებას, ასევე გასართობ-შემეცნებით პუბლიკაციებსაც. ეს ონლაინმედია დიდ ინტერესს იწვევს საზოგადოებაში, სწორედ ეს გახდა შერჩევის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი.

ერთი მხრივ, ონლაინმედიის ანალიზმა საშუალება მოგვცა დავკვირვებოდით, რამდენად მოვლენურად აისახებოდა ზემოთ დასახელებული საპროტესტო აქციები, ასევე, რამდენად ანალიზური და სიღრმისეულია ამ თემაზე გამოქვეყნებული პუბლიკაციები. მეორე მხრივ, შესაძლებელი გახდა, ერთმანეთისთვის შეგვედარებინა ონლაინგამოცემები და დაგვედგინა, რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები იკვეთება მათ შორის.

ამგვარად, კვლევის მეთოდად გამოვიყენეთ კონტენტ-ანალიზი. წინასწარ შერჩეული კრიტერიუმების მიხედვით (რაოდენობრივი და თვისებრივი კატეგორიები) გავაანალიზეთ მოძიებული პუბლიკაციები. პროცენტულად გამოვავლინეთ პუბლიკაციათა რაოდენობა და სიხშირე, დროისა და გამოცემათა მიხედვით. გარდა ამისა, გამოვიყენეთ შედარებითი ანალიზი, რათა ერთმანეთისთვის შეგვედარებინა ონლაინმედიაში საპროტესტო მოძრაობების თემაზე გამოქვეყნებული მასალები.

# თავი 2. კვლევის შედეგები

საკვლევ პერიოდში ნარკოპოლიტიკასა და შრომის უსაფრთხოებაზე მოკვლეულია სულ 98 პუბლიკაცია. აქედან არსებულ ნარკოპოლიტიკაზე ,,on.ge”-ში გამოქვეყნდა 38, “tabula.ge”-ში 16, “ambebi.ge”-ში კი - 7 პუბლიკაცია. გაშუქების სიხშირის მიხედვით გამოცემები ასე შეიძლება დავალაგოთ:

ონლაინგამოცემებში ნარკოპოლიტიკაზე სულ 61 პუბლიკაცია გამოქვეყნდა;

1. ,,on.ge”-ში გამოქვეყნდა ყველაზე მეტი მასალა, 38 პუბლიკაცია;

2. „tabula.ge”-ში სულ 16 პუბლიკაცია;

3. ,,ambebi.ge”-ში კი ყველაზე ცოტა, სულ 7 პუბლიკაცია გამოქვეყნდა;

შრომის უსაფრთხოებასა და სამუშაო პირობებზე “on.ge”-ში გამოქვეყნდა 19, “tabula.ge”-ში 8, “ambebi.ge”-ში კი 10 პუბლიკაცია. გაშუქების სიხშირის მიხედვით გამოცემები ასე შეიძლება დავალაგოთ:

ონლაინგამოცემებში სულ 37 პუბლიკაცია გამოქვეყნდა;

1. ,,on.ge“-ში გამოქვეყნდა ყველაზე მეტი მასალა, 19 პუბლიკაცია;

2. ,,ambebi.ge“-ში სულ 10 პუბლიკაცია;

3. „tabula.ge”-ში კი ყველაზე ცოტა, სულ 8 პუბლიკაცია გამოქვეყნდა;

რაოდენობრივი კვლევის შედეგები იხილეთ დიაგრამებზე:

დიაგრამა2.1.




დიაგრამა 2.2.



## 2.1. თვისებრივი მონიტორინგი

რაც შეეხება თვისებრივ მონიტორინგს, მოძიებული მასალები გავაანალიზეთ წინასწარ შერჩეული კრიტერიუმების მიხედვით:

- **ჟანრი-** ამ კრიტერიუმების მიხედვით მოძიებული მასალები დავახარისხეთ ჟანრობრივად: ნიუსი, სტატია, რეპორტაჟი, ინტერვიუ, კომენტარი. ამან მოგვცა საშუალება დაგვედგინა, რამდენად მრავალფეროვანია ონლაინმედია ჟანრობრივად, სთავაზობს თუ არა ის მკითხველს, როგორც მოვლენურ, მოკლე ახალ ამბებს, ისე ვრცელ, ანალიზურ მასალებს. არსებულ ნარკოპოლიტიკაზე მოძიებული მასალები ონლაინ გამოცემების მიხედვით ჟანრობრივად შემდეგნაირად გადანაწილდა:

- **“on.ge”: 26- ნიუსი, 7-კომენტარი, 4-სტატია, 1-რეპორტაჟი;**
- **“tabula.ge” : 12 ნიუსი, 2 სტატია, 2 კომენტარი;**
- **“ambebi.ge” : 4- ნიუსი, 3-სტატია.**

შრომის უსაფრთხოებაზე და სამუშაო პირობებზე ონლაინგამოცემები ჟანრობრივად ასე გადანაწილდა:

- **“on.ge”: 16- ნიუსი, 3-რეპორტაჟი;**
- **„ambebi.ge” : 9- ნიუსი, 1-სტატია;**
- **“tabula.ge” : 8 ნიუსი.**

- **წყაროები-** ვინ იყვნენ წყაროები, რამდენად თანაბარ დროს უთმობდა ჟურნალისტი ყველა მხარის პოზიციას, იყვნენ თუ არა წყაროები კომპეტენტურები მოცემულ სიტუაციებში. ამგვარმა გაანალიზებამ საშუალება მოგვცა შეგვეფასებინა, რამდენად იცავდა ჟურნალისტი მომზადებულ მასალებში წყაროთა ბალანსს.
- **ტონი-** გამოვყავით ტონის სამი ძირითადი ნიშნული- დადებითი, უარყოფითი და ნეიტრალური. დადებით ტონად ფასდება, როდესაც მასალაში ჩანს რაიმე ფაქტის ან რესპონდენტის მიმართ დადებითი დამოკიდებულება და ტენდენციურობა. უარყოფით ტონად ფასდება, როდესაც მასალაში უარყოფითი დამოკიდებულება ჩანს რაიმე ფაქტის ან რესპონდენტის მიმართ. ნეიტრალურ ტონად ფასდება, როდესაც მასალებში არ ჩანს რაიმე ფაქტის ან რომელიმე რესპონდენტის მიმართ ტენდენციურობა ან უარყოფითი დამოკიდებულება. აღნიშნულმა კრიტერიუმმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა, თუ რამდენად ნეიტრალურია ჟურნალისტი მასალის მომზადებისას, ხომ არ ცდილობს ზედმეტად პოზიტიურად ან პირიქით, ნეგატიურად დაგვანახოს რესპონდენტი.
- **ფრეიმები-** რა ფრეიმებით ხელმძღვანელობდა მოკვლეული ონლაინმედია საპროტესტო მოძრაობებისა და ამ თემასთან დაკავშრებული მასალების გაშუქებისას.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ მოძიებულ მასალებში ჟანრობრივად სჭარბობდა არსებული ნარკოპოლიტიკის ამსახველი ნიუსები. რაოდენობრივად მათ სტატია, შემდეგ კი კომენტარი მოსდევდა.

როდესაც ჟურნალისტი რესპონდენტს არჩევს, მას დიდი პასუხისმგებლობა აკისრია, რადგან მის მიერ შერჩეული რესპონდენტი კონკრეტულ საკითხში კომპეტენტური უნდა იყოს, რათა მიაწოდოს მკითხველს სანდო ინფორმაცია. აგრეთვე წყაროები პროპორციულად უნდა შეირჩეს და ყველა მხარე წარმოაჩინოს.

როგორც კვლევამ აჩვენა, ჟურნალისტები რესპოდენტებს ძირითადად საპროტესტო აქციების ორგანიზატორებიდან და აქციის მონაწილეებიდან არჩევდნენ. პუბლიკაციებში აგრეთვე ვხვდებოდით მეორე მხარის პოზიციასაც, თუმცა, უმეტესად, საპროტესტო

მოძრაობების მხარე პოზიტიურ, ხოლო ხელისუფლებისა და მაღალჩინოსნების მხარე უარყოფით კონტექსტში იქნა წარმოჩენილი.

რაც შეეხება ტონს, მასალები ძირითადად დადებითი ტონით შეფასდა, რისი განმაპირობებელი ფაქტორი შესაძლოა ისიც იყო, რომ მოძიებულ პუბლიკაციებში ჭარბობდა მოვლენური ინფორმაციები, რომლებშიც ინფორმაციის ძირითადი წყაროები სწორედ საპროტესტო მოძრაობების მონაწილეები იყვნენ.

## 2.2. ონლაინგამოცემების შედარებითი ანალიზი

დეტალურად განვიხილოთ მოძიებული მასალები. ჩვენს მიერ მოკვლეულ ონლაინ გამოცემებში არესბულ ნარკოპოლიტიკაზე სულ დაიბეჭდა: 42 ნიუსი, 1 რეპორტაჟი, 9 სტატია, 9 კომენტარი. შრომის უსაფრთხოებასა და სამუშაო პირობებზე კი - 33 ნიუსი, 3 რეპორტაჟი, 1 სტატია.

- **On.ge - ორივე საკვლევ თემაზე გამოქვეყნდა 42 ნიუსი, 4 რეპორტაჟი, 4 სტატია, 7 კომენტარი;**
- **Tabula.ge - ორივე საკვლევ თემაზე გამოქვეყნდა 20 ნიუსი, 2 სტატია, 2 კომენტარი;**
- **Ambebi.ge - ორივე საკვლევ თემაზე გამოქვეყნდა -13 ნიუსი, 4 სტატია.**

ონლაინგამოცემებში თემების ჟანრობრივი მაჩვენებლები მოცემულია დიაგრამებზე:

დიაგრამა 2.3.




დიაგრამა 2.4.



**დიაგრამა 2..5.**




კვლევამ გვიჩვენა, რომ გამოქვეყნებულ მასალებში ინფორმაცია ძირითადად დაუბალანსებელი იყო, არ ჩანდა ყველა მხარის პოზიცია. მოძიებულ მასალათა უმრავლესობა მოვლენური ასახვაა იმისა, რაც განვლილ თვეებში ხდებოდა.

კონკრეტულად კი, არსებულ ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით საპროტესტო მოძრაობები აისახა შემდეგ პუბლიკაციებში:

არსებული ნარკოპოლიტიკის შესახებ პირველი პუბლიკაცია „on.ge”-მ 10 ოქტომბერს გამოაქვეყნა ნიუსის სახით, სათაურით „საკონსტიტუციო სასამართლოში მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზების საქმის განხილვა იწყება“. ამბავი ვრცელი ნიუსის სახით არის მოწოდებული და ის რამდენიმე ქვეთავად არის ჩაშლილი. ჟურნალისტი დეტალურად გადმოსცემს, თუ რა გახდა დავის საკონსტიტუციო სასამართლოსთან მიზეზი, ასევე, რას შეცვლის საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება. ვრცელ ნიუსს ჰყავს წყარო, პოლიტიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი

იაგო ხვიჩია, რომელიც საკონსტიტუციო სასამრთლოში მომჩივანის უფლებებს იცავს. ვრცელ ნიუსს თან ახლავს ფოტო, თუმცა, ის არ არის ადგილიდან და არ ასახავს რეალურ მოვლენას. ნიუსი შეფასდა დადებითი ტონით, რადგან მხოლოდ ერთი მხარის პოზიცია იყო წარმოჩენილი

,,on.ge"-ში ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით შემდეგი ნიუსი სათაურით „წულუკიანი ნარკოპოლიტიკაზე: ლიბერალური ნაბიჯებით უნდა მივიდეთ დეკრიმინალიზაციამდე" 13 ოქტომბერს გამოქვეყნდა. ვრცელი ნიუსი აგებულია იუსტიციის მინისტრის განცხადებაზე, რომელშიც ის ნარკოპოლიტიკის დეკრიმინალიზაციაზე საუბრობს. მისი განმარტებით, დეკრიმინალიზაციამდე გზა ლიბერალიზაციამდე გადის. ნიუსს თან ახლავს მინისტრის ვიდეოკომენტარი და თეა წულუკიანის ფოტო. პუბლიკაციაში ასევე გახატულია მეორე მხარის, „თეთრი ხმაურის" პოზიცია. ნიუსში ნაწილი ამოღებულია მათი ოფიციალური განცხადებიდან, რომელშიც ისინი მინისტრს დამატებითი განმარტების გაკეთებას სთხოვენ. ტექსტს თან ახლავს ამბის ბეგრაუნდი. ნიუსი საბოლოოდ შეფასდა ნეიტრალურად.

,,on.ge"-მ ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით სტატია სათაურით - „საკონსტიტუციომ მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაციას მხარი დაუჭირა", 30 ნოემბერს გამოაქვეყნა. პუბლიკაცია რამდენიმე ქვეთავად არის სათაურებით გამოყოფილი. პირველი ქვეთავი არის ნიუსი, რომელშიც აღნიშნულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ მარიხუანის დეკრიმინალიზაციას მხარი დაუჭირა. შემდეგ ქვესათაურში აღწერილია, თუ რა გახდა დავის საგანი. ამჯერად „გირჩის" წევრი, იურისტი იაგო ხვიჩია ამ საკითხს იურდიულ ჭრილში განმარტავს. სტატიაში ასევე განხილულია, რატომ განხორციელდა მარიხუანის და არა სხვა ნარკოტიკული ნივთიერების დეკრიმინალიზაცია, ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილება დაწვრილებით არის განხილული. სტატია ვრცელი და შინაარსობრივად დატვირთულია. პუბლიკაციაში აღწერილია დეტალურად როგორც ახალი ამბავი, ასევე ბეგრაუნდი. სტატია შეფასდა ნეიტრალური ტონით.

,,on.ge-"-მ უშუალოდ მოძრაობა „თეთრი ხმაურის" საპროტესტო აქციის შესახებ 10 დეკემბერს გამოაქვეყნა ნიუსი, სათაურით „ხმაური გამარჯვებისთვის- თეთრი ხმაურის მოძრაობის კიდევ ერთი აქცია ნარკოპოლიტიკის შესაცვლელად". ნიუსში აღწერილია აქციის მიზანი, ასევე, წყაროდ გამოყენებულია „თეთრი ხმაური". „ჩვენ არ დავუშვებთ ფასადურ ცვლილებებს, აღარ დავუშვებთ, გვდევნიდნენ და გვართმევდენენ მომავალს, გვძარცვავდნენ და ჩვენივე თანხებს ჩვენსავე წინააღმდეგ იყენებდნენ, გვაიძულებდნენ დასმენას და გვართმევდნენ ნდობასა და ურთიერთობებს. აღარ დავუშვებთ, რომ პოლიციური ტერორით გვიკლავდნენ თანამოქალაქეებს. სახელმწიფო ვალშია ჩვენთან! და კანონპროექტის უცვლელად მიღება არა ხელისუფალის კეთილი ნება, არამედ ვალდებულებაა",- აღნიშნავენ ორგანიზაციაში. ნიუსს თან ახლავს ფოტო და ვიდეო მასალა აქციის მიმდებარე ტერიტორიიდან. პუბლიკაცია შეფასდა დადებითი ტონით.

ვრცელი სტატია გამოქვეყნდა ,,on.ge"-ში 11 იანვარს სათაურით „დეკრიმინალიზაციის მოლოდინში". ვრცელი სტატია რამდენიმე თავად არის დაყოფილი. თავდაპირველად სტატიაში აღწერილია სხვადსხვა ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკა, ასევე საქართველოშიც, რომელიც 90-იან წლებს მოიცავს. მეორე ქვეთავი „ნარკოპოლიტიკა დღეს"- იწყება სიტყვებით „...დღევანდელი ნარკოპოლიტიკა, უმეტესწილად, რეპრესიულია. ქვეყნის პატიმართა 30 პროცენტი სწორედ ნარკოდანაშაულისთვის იხდის სასჯელს". ამ ქვეთავში დეტალურად არის მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები, თუ რომელ წელს რამდენ ადამიანს შეეფარდა მოხმარებისა და გასაღებისთვის პატიმრობა. ასევე მოხმობილია ციფრები, თუ რა უჯდება სახელმწიფოს ამ პატიმრების შენახვა და ანალიზების გაკეთება. შემდეგი ქვეთავია „რა ხდება მსოფლიოში? War On Drugs (ომი ნარკოტიკებთან)"- ამ მონაკვეთში მოყვანილია შეერთებული შტატების მაგალითი, კერძოდ კი, 70-იანი წლები, როდესაც სახელმწიფომ ნარკოტიკებს ომი გამოუცხადა. ავტორის თქმით, ამ პერიოდში განუხრელად იზრდებოდა ნარკომომხარებელთა რიცხვი. „...მას შემდეგ, რაც დასავლეთის პოლიტიკური წრეებისთვის ნათელი გახდა, რომ ნარკოტიკებთან ომი არ მუშაობს, ნელ-ნელა და მეთოდურად იცვლებოდა ნარკოპოლიტიკაც. დღევანდელი მდგომარეობით, დასავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყნებში

ნარკოპოლიტიკა მომხმარებლების მიმართ ლიბერალურია“. შემდეგი ქვეთავი არის „პორტუგალია, როგორც ალტერნატივა“. ამ ქვეთავში მოყვანილია პორტუგალიის მაგალითი, რომელმაც დეკრიმინალიზაცია მოხადინა... „ნარკოპოლიტიკის მიმართულებით, ჭეშმარიტად, ყველაზე დიდი და რევოლუციური ნაბიჯი პორტუგალიამ გადაგდა“.

შემდეგი ქვეთავში - „კანონპროექტი პარლამენტს სთავაზობს“ - დეტალურად არის მოცემული, თუ რას სთავაზობს პლატფორმა პარლამენტს, რათა კანონში შევიდეს ცვლილება: „დადგინდეს ოდენობები აკრძალულ ნივთიერებათა ნუსხაში არსებულ უკლებლივ ყველა ნივთიერებაზე. მოხდეს უკლებლივ ყველა ნარკოტიკის მოხმარების დეკრიმინალიზაცია და გაუქმდეს საპატიმრო სასჯელი. დადგინდეს პირადი მოხმარებისთვის განკუთვნილი ოდენობები და მის ფლობაზე გაუქმდეს საპატიმრო სასჯელი. პირადი მოხმარებისთვის განკუთნილ ოდენობად განისაზღვროს ერთი დღის მარაგი;

პირად ოდენობაზე მეტის ფლობა, ყიდვა-გაყიდვა, გავრცელება დამზადება რჩება სისხლის სამართლის კოდექსის საქმედ თუმცა, მნიშვნელოვნად მცირდება საპატიმრო ვადები და საჯარიმო სანქციები;

მომხმარებლებზე პოლიციური კონტროლის გაუქმების შედეგად ბიუროკრატიული ხარჯების მნიშვნელოვან დაზოგვას და ამ თანხების სრულ მობილიზაციას სარაებილიტაციო, სამკურნალო და რესოციალიზაციის საქმეზე.

შეთავაზებული ნარკოპოლიტიკა ცვლის პარადიგმას, მომხმარებელის დასჯის მაგივრად თავაზობს ზრუნვას. კანონის მიღების შემთხვევაში, ნარკოპოლიტიკას სახელმწიფოში არა ძალოვანი სტრუქტურები, არამედ ჯანდაცვის სამინისტრო გაატარებს“.

ვრცელი სტატია შინაარსობრივად დატვირთულია. მასში მოყვანილია არაერთი ქვეყნის მაგალითი, თუ როგორი პოლიტიკა იყო წარსულში და როგორი ნარკოპოლიტიკა აქვთ ახლა. ავტორის დამოკიდებულება ჩანს ყველა ქვეთავში მოყვანილი ფაქტებითა და რიცხვებით, რომლითაც ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რამდენად დადებითი

შედეგების მოტანა შეუძლია ლიბერალურ ნარკოპოლიტიკას. ტონი შეფასდა უარყოფითად, ავტორი აკრიტიკებს არსებულ რეპრესიულ ნარკოპოლიტიკას.

ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით პირველი პუბლიკაცია სააგენტო ,,ambebi.ge"-მ 30 ნოემბერს გამოაქვეყნა სტატია, სათაურით „მოკლედ, რას ნიშნავს მარიხუანას დეკრიმინალიზაცია და რა იცვლება სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ". ტექსტი იწყება „ქართული ოცნების" დეპუტატ გიორგი კახიანის განცხადებით: „მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაცია ლეგალიზაციას არ ნიშნავს". სტატიაში ასევე ჩართულია არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის კომენტარი, რომლის მიხედვითაც „პირებს, რომლებსაც მარიხუანის მოხმარებისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხიმგებლობა აქვთ დაკისრებული, სანქცია უნდა მოეხსნათ". სტატიაში არსებული ნარკოპოლიტიკა განხილულია სამართლებრივ ჭრილში. სტატიის ტონი შეფასდა ნეიტრალურად.

შემდეგი სტატია სააგენტო ,,ambebi.ge" -ზე 24 იანვარს გამოქვეყნდა სათაურით: „პროკურატურის განცხადება „ბახალას" საქმეზე. დაკავებულმა თქვა, რომ ნარკოტიკული საშუალებები გიორგანაშვილმა მას კონკრეტული პირისთვის გადასაცემად მისცა". პუბლიკაცია „ბახალას" დაკავებას ეხებოდა. სტატიაში მოყვანილია პროკურატურის განცხადება, ასევე ვრცლად არის აღწერილი ბეგრაუნდი, თუ რატომ მოხდა „ბახალას" დაკავება და რას ედავება მას პროკურატურა. სტატიას ახლავს ფოტო და ვიდეო მასალა. ტონი შეფასდა ნეიტრალურად.

შემდეგი პუბლიკაცია "ambebi.ge"-მ 23 იანვარს „ბახალას" დაკავებასთან დაკავშირებით ნიუსის სახით გამოაქვეყა, სათაურით „ბახალას" დედის კომენტარი შვილის დაკავების შემდეგ -„მეზიზღება ჩემი ქვეყანა ამ საპოლიციო სისტემის გამო". ტექსტი მოკლეა და ეყრდნობა მხოლოდ ერთ წყაროს. ნიუსს თან ახლავს მოკლე ბეგრაუნდი „ბახალას" დაკავების მიზეზების გამო. პუბლიკაცია შეფასდა უარყოფითი ტონით.

პირველი მასალა “tabula.ge”-მ ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით 13 ოქტომბერს გამოაქვეყნა კატეგორიაში - „კომენტარი“. ეს არის იუსტიციის მინისტრის კომენტარი ნარკოპოლიტიკაზე, რომლის მიხედვითაც არამც და არამც არ უნდა მოხდეს ნარკომომხმარებლების სრული დეკრიმინალიზაცია“. ნიუსი აგებულია მხოლოდ მინისტრის პოზიციაზე დაყრდნობით. კომენტარს თან ახლავს მინისტრის ფოტო, შეფასდა დადებითი ტონით.

შემდეგი პუბლიკაცია ,,tabula.ge“-ში 10 დეკემბერს გამოქვეყნდა ნიუსის სახით: „ხმაური გამარჯვებისთვის“ - თბილისში ნარკოპოლიტიკას აპროტესტებენ“. მასალაში ასახულია აქცია, რომელიც ვარდების მოედანზე მიმდინარეობდა „თეთრი ხმაურის“ ორგანიზებით. მათი ძირითადი მოთხოვნები კანონში ცვლილების შეტანა და ნარკოლიბერალიზაცია იყო. ნიუსს თან ახლავს ფოტო ადგილიდან, რომელიც მოვლენას ასახავს. შეფასდა დადებითი ტონით.

შემდეგი ნიუსი ,,tabula.ge”-ში 23 იანვარს გამოქვეყნდა სათაურით „თბილისის საქალაქო სასამართლომ გიორგი გიორგანაშვილს 8 წლით პატიმრობა მიუსაჯა“. ტექსტში ვრცლად არის აღწერილი სასამართლოს გადაწყვეტილება დეტალურად, ასევე, „ბახალას“ დაკავების ბეგრაუნდი, თუ რატომ მიესაჯა და რას ედავება პროკურატურა გიორგი გიორგანაშვილს. ნიუსის წყარო არ არის დამოწმებული, თუმცა, დაყრდნობილია სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. ტონი შეფასდა ნეიტრალურად.

## 2.3. შრომის უსაფრთხოება და სამუშაო პირობები

სამუშაო ადგილზე შეუსაბამო პირობებს შეეხებოდა პირველი პუბლიკაცია, რომელიც ,,on.ge“-მ 6 ოქტომბერს გამოაქვეყნა სათაურით „მუშების სამუშაო ადგილზე შესაძლო ცემაზე შსს-მ გამოძიება დაიწყო“. ნიუსს თან ახლავს ფოტო, რომელიც

შემთხვევის ადგილს ასახავს. ტექსტი აგებულია ტელეკომპანია „რუსთავი2-ის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამბავს არ ჰყავს პირველი წყარო და მხოლოდ ერთი მხარის პოზიციაა გამოხატული. ნიუსი შეფასდა დადებითი ტონით.

შემდეგი პუბლიკაცია “on.ge”-მ 9 ოქტომბერს კვლავ ნიუსის სახით გამოაქვეყნა, სათაურით: „თელავში მშენებარე ბიზნესცენტრის შენობის ჩამონგრევის შედეგად ერთი ადამიანი დაშავდა“. ამბავი გაშუქებულია ნიუსის ფორმით, რომელსაც თან ახლავს ფოტო, თუმცა, ის არ ასახავს შემთხვევის ადგილს. ამბავი კვლავ სხვა წყაროზე - „რეგინფოზე“ დაყრდნობით არის მომზადებული. პუბლიკაცია მხოლოდ ერთ კონკრეტულ ფაქტს ასახავს. შეფასდა ნეიტრალური ტონით.

შემდეგი ნიუსი ,,on.ge”-მ 28 დეკემბერს გამოაქვეყნა სათაურით, „მშენებლობაზე უსაფრთხოების შესამოწმებლად მისული ექსპერტი სიმაღლიდან ჩამოვარდა“. ნიუსი თავიდან ბოლომდე ტელეკომპანია „რუსთავი2-ის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ეყრდნობა. მასში ფაქტი მოკლედ არის გადმოცემული და დამოწმებულია ერთი წყაროთი. ეს არის სამშენებლო კომპანიის წარმოამდგენელი, რომელიც ასევე „რუსთავი2“-ის მიერ ჩაწერილია: „ბათუმში მიმდინარე მშენებლობაზე ტექნიკის უსაფრთხოების შესამოწმებლად მისული ექსპერტი სიმაღლიდან ჩამოვარდა. ინფორმაციას ამის შესახებ ,,რუსთავი 2“ ავრცელებს. ტელეარხის ცნობით, დაშავებულის მდგომარეობა მძიმეა და ის ამჟამად რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება“- ვკითხულობთ სააგენტოს მიერ გავრცელებულ პუბლიკაციაში. სააგენტო ასევე არ ავრცელებს ინფორმაციას დაშავებული ექსპერტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. არც იმ დღეს და არც შემდეგ დღეებში სააგენტოზე ამ თემასთან დაკავშირებით სხვა პუბლიკაცია არ გვხდება. ნიუსი შეფასდა ნეიტრალურად.

14 თებერვალს “on.ge“-ზე გამოქვეყნდა რეპორტაჟი სათაურით, „მოთმენას აღარ ვაპირებთ - შრომის უსაფრთხოების მოთხოვნით თსუ-სთან აუდიტორია 115-ის აქცია დაიწყო“. რეპორტაჟში ასახულია უნივერსიტეტთან მიმდინარე აქცია და მისი მონაწილეების მოთხოვნები. მასალას თან ახლავს ფოტო და ვიდეომასალა ადგილიდან. რეპორტაჟში ასახულია მხოლოდ მიმდინარე მოვლენა, თუმცა, შრომით უფლებებთან

დაკავშირებით ბეგრაუნდი არ გვხვდება. რეპორტაჟში ასახულია მხოლოდ საპროტესტო მოძრაობის მოთხოვნები და პოზიცია, რეპორტაჟი ტენდენციურია. ტონი შეფასდა დადებითად.

შრომით უფლებებზე პირველი პუბლიკაცია ,,ambebi.ge"-ზე 27 სექტემბერს ნიუსის სახით გამოქვეყნდა, სათაურით „ტყიბულის შახტაში უბედური შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა". ტექსტი მხოლოდ ფაქტს ასახავს. არ ჰყავს ცოცხალი წყარო. შეფასდა ნეიტრალური ტონით.

ამ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით იმავე დღეს გამოქვეყნდა მოკლე ნიუსი, რომელშიც „საქნახშირის" განცხადება იყო გადმოცემული: „რა გახდა ტყიბულის შახტაში მომხდარი უბედური შემთხვევის მიზეზი- „საქნახშირი" განცხადებას ავრცელებს." მასში მხოლოდ საქნახშირის განცხადებაა გამდმოცემული. ნიუსს თან ახლავს ფოტო, თუმცა, ის არ ასახავს შემთხვევის ადგილს. შეფასდა ნეიტრალური ტონით.

შრომის უსაფრთხოების თემაზე სააგენტო ,,ambebi.ge"-ზე საკვლევ პერიოდში მხოლოდ ერთი სტატიაა გამოქვეყნდა 26 მარტს, სათაურით: „ტრაგედია ჭიათურის მაღაროში, გარდაცვლილია 45 წლის მამაკაცი-რაზე საუბრობენ მაღაროელები, პროფკავშირები და დამქირავებელი კომპანია". როგორც სათაურიდანაც ჩანს, სტატიაში ყველა მხარის პოზიციაა წარმოჩენილი. სტატიაში დასახელებულია სულ 3 წყარო, მათ შორის ერთ-ერთი მაღაროელი შახტაში არსებულ შრომის პირობებზე საუბრობს. პროფკავშირის წარმომადგენელი მოითხოვს, რომ სასწრაფო წესით შევიდეს კანონში ცვლილება, ხოლო დამქირავებელი კომპანიის წარმომადგენელი ამბობს, რომ სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების ნორმები დაცული იყო. სტატია ვრცელია, თუმცა, მოიცავს მხოლოდ ამ კონკრეტულ ფაქტს და არ ასახავს გასულ თვეებში სხვა მუშების სამუშაო ადგილზე გარდაცვალების ფაქტებს. სტატია შეფასდა ნეიტრალური ტონით.

„Tabula.ge"-ზე პირველი ნიუსი 28 ოქტომბერს გამოქვეყნდა სათაურით - „ტყიბულში უბედურ შემთხვევას ერთი მეშახტე ემსხვერპლა". ნიუსი ეყრდნობა „საქნახშირის" განცხადებას. პუბლიკაციაში არ არის საუბარი გარემობებზე, თუ რამ

გამოიწვია მუშის დაღუპვა. მას თან ახლავს ფოტო, რომელიც არ ასახავს შემთხვევის ადგილს. ტექსტი შეფასდა უარყოფითი ტონით.

შრომით უსაფრთხოებას შეეხება შემდეგი ნიუსი, რომელიც "tabula.ge"-ში 27 ოქტომბერს გამოქვეყნდა სათაურით - „ეკონომიკის სამინისტრო: მაღაროში უსაფრთხოების წესების დარღვევის ნიშნები იკვეთება". მოკლე ნიუსი თავიდან ბოლომდე აგებულია სამინისტროს განცხადებაზე, სხვა მხარე წარმოჩენილი არ არის, ასევე არ არის ყურადღება გამახვილებული სხვა შემთხვევებზე. ნიუსს თან ახლავს ფოტო, რომელიც არ ასახავს შემთხვევის ადგილს. შეფასდა დადებითი ტონით.

18 იანვარს ,,tabula.ge"-მ გამოაქვეყნა ნიუსი სათაურით, „თემქაზე მშენებარე კორპუსიდან 27 წლის კაცი ჩამოვარდა". პუბლიკაცია არის მოკლე და ის თავიდან ბოლომდე ეყრდნობა ტელეკომპანია „რუსთავი2-ის" მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. ტექსტს თან ახლავს ფოტო, რომელიც მოვლენის ადგილს არ ასახავს. ამ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით გამოცემაში სხვა პუბლიკაცია არ გამოქვეყნებულა. ტონი შეფასდა ნეიტრალურად.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ გამოცემაში შრომით უფლებებსა და ამ თემასთან დაკავშირებით წამოწყებულ საპროტესტო მოძრაობებზე სტატია, რეპორტაჟი ან სხვა ჟანრის პუბლიკაცია არ გვხვდება, მოვლენები მხოლოდ ნიუსის ფორმატშია გაშუქებული.

# დასკვნა

ამდენად, გაანალიზებულმა მასალებმა ცხადყო, რომ ჩვენი ჰიპოთეზების ნაწილი გამართლდა, კერძოდ:

- ქართული მედია მოვლენურად აშუქებს საპროტესტო მოძრაობებს;
- არ იჩენს მუდმივ ინტერესს აღნიშნული თემატიკის მიმართ;
- ქართული ონლაინმედია საპროტესტო მოძრაობებისა და საკითხების გაშუქებისას ნაკლებად აქვეყნებს ანალიზურ მასალებს და მოვლენებზეა ორიენტირებული.

არ დადასტურდა ჰიპთეზა:

- ჟურნალისტები არ იცავენ პროფესიულ სტანდარტებს და ეთიკის ნორმებს;

მოკვლეულ პუბლიკაციებში იგრძნობა ანალიზურ მასალათა ნაკლებობა. სიხშირის მხრივ, მასალათა ჟანრობრივი რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ნიუსი
- კომენტარი
- სტატია
- რეპორტაჟი

მოძიებულ მასალებში (ნიუსი, სტატია, რეპორტაჟი) ძირითადად ნეიტრალური ტონი დაფიქსირდა, თუმცა, შეგხვდა პუბლიკაციები, ძირითადად, სტატიები და რეპორტაჟები, რომლებიც დადებითი ტონით შეფასდა. აღსანიშნავია, რომ მათში იგრძნობოდა საპროტესტო მოძრაობებისა და მისი მონაწილეების მიმართ ტენდენციურობა და დადებითი ტონი ჟურნალისტების მხრიდან.

მოძიებულ მასალებში წყაროები იშვიათად იყო გამოყენებული, თუმცა, ის პუბლიკაციები, რომლებშიც წყაროები იყო მითითებული, დიდწილად, დაბალანსებული იყო.

ძირითადი ფრეიმები, რომელთა გამოყენებითაც ონლაინმედია საპროტესტო მოძრაობებსა და ამ თემასთან დაკავშირებულ პუბლიკაციებს აშუქებს, მოკვლეულ ონლაინმედიებში თითქმის იდენტურია :

- სამუშაო ადგილებზე არასათანადო პირობები და უსაფრთხოების ნორმების დარღვევა;
- ხელისუფლებაზე პასუხიმგებლობის დაკისრება არსებულ ნარკოპოლიტიკასა და შრომის კანონთან დაკავშირებით;

კვლევისას გამოიკვეთა, რომ საპროტესტო მოძრაობებისა და მასთან დაკავშირებული თემების გაშუქებისას, მედია უმეტესად არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული ფრეიმებით ხელმძღვანელობს, რაც თავის მხრივ, უმეტესწილად, მომხდარის სამართლებრივ ჭრილში განხილვას გულისხმობს. მეორე მხრივ, მასალათა ანალიზმა ცხადყო, რომ საპროტესტო მოძრაობების თემაზე მომზადებული პუბლიკაციები თუ სიუჟეტები უმეტესად პოლიტიზებულია, რადგან პოლიტიკურ კონტექსტშია განხილული, უფრო კონკრეტულად კი დაკავშირებულია რომელიმე პოლიტიკურ ძალასა თუ სუბიექტთან. გარდა ამისა, ხშირად ნარკოპოლიტიკასა და სამუშაო პირობებთან დაკავშირებულ თემებზე მომზადებული მასალები სწორედ იმ ნიშნით ხვდება მედიაში, რომ მათ შესახებ რომელიმე პოლიტიკურმა ლიდერმა საკუთარი აზრი გამოთქვა.

სიხშირის მხრივ, მედია მოცემულ პერიოდში შემდეგ თემებს უთმობდა ყველაზე დიდ ყურადღებას:

- მოძრაობა „თეთრი ხმაურის“ საპროტესტო აქციები;
- გიორგი გიორგანაშვილის „ბახალას“ სასამართლო პროცესი;
- მუშათა გარდაცვალების ფაქტები სამუშაო ადგილებზე.

აღსანიშნავია, რომ ამ თემებმა მოკვლეულ მასალებში ბლოგებში, ინტერვიუებსა და თვალსაზრისში ვერ ჰპოვა ასახვა.

## კვლევის მიგნებები:

- **საპროტესტო მოძრაობების მოვლენური ასახვა ონლაინმედიაში** - განხილული პუბლიკაციები საკვლევ პერიოდში ასახავდა მიმდინარე საპროტესტო აქციებს. მედია თანმიმდევრულად არ აშუქებდა განვითარებულ ამბებს.

- **პუბლიკაციათა ზედაპირულობა** - საკვლევ პერიოდში ვხვდებით მცირე რაოდენობის ანალიზურ სტატიას, რომლებშიც პრობლემის უფრო ღრმა განხილვა იქნებოდა შესაძლებელი. ჟურნალისტები არ გვთავაზობდნენ ამბის პოსტფაქტუმ განვითარებულ მოვლენებს.

- **მასალათა დადებითი ტონი**- განხილულ მასალები ძირითადად დადებითი ტონით ხასიათდებოდა, თუმცა, იყო ნეიტრალური ტონით აღბეჭდილი პუბლიკაციები. ჟურნალისტები მეტ-ნაკლებად იცავდნენ ბალანსს.

- **საპროტესტო მოძრაობების პოლიტიზება** - განხილულ პუბლიკაციებში შეიმჩნევა ტენდენცია, რომ ყველა რელიგიური თემა პოლიტიკურ ჭრილშია წარმოდგენილი. მასალის თემაც ხშირად იმითაა განპირობებული, რომ რომელიმე პოლიტიკური სუბიექტი საპროტესტო მოძრაობის მოთხოვნებს პასუხობს ან აფასებს. იკვეთება, რომ მედია, მეტწილად, სწორედ ამ ფრეიმით აშუქებს მომხდარს.

## რეკომენდაციები:

❖ **ჟურნალისტური სტანდარტების დაცვა** - ისევე, როგორც ნებისმიერი პროფესიის ადამიანისათვის, ჟურნალისტისთვისაც უმნიშვნელოვანესია პროფესიული სტანდარტების დაცვა, რაც, თავის მხრივ, პრევენციაა საიმისოდ, რომ მომზადებული მასალა უხარისხო და მცდარი არ იყოს. ჟურნალისტმა უნდა დაიცვას ბალანსი და შეინარჩუნოს ობიექტურობა;

❖ **ეთიკური ნორმების დაცვა** - ჟურნალისტის მხრიდან, მასალებზე მუშაობისას, ეთიკური ნორმების გათვალისწინება აუცილებელია, ვინაიდან პროფესიული ეთიკა წარმოადგენს იმ ოქროს შუალედს, რომლის დაცვის შემთხვევაშიც ჟურნალისტისათვის უფრო ადვილდება პროფესიული სტანდარტების შესრულება.

❖ **ანალიზური მასალა** - სასურველია, თუ საკვლევ თემაზე მედია მეტ ანალიზურ მასალას გამოაქვეყნებს. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია მოვლენური მასალები, მაგრამ მათთან ერთად აუცილებელია არსებობდეს ანალიზური პუბლიკაციები, რომლებიც საშუალებას მისცემს მკითხველს, დასკვნების გამოსატანად ღრმა და არგუმენტირებული განსჯით დატვირთული პუბლიკაციები წაიკითხოს.

# ბიბლიოგრაფია:

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, 2004;

1. ბერტრანი ჟ.კ. მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულებების სისტემები, 2004;
2. დეფლორი მ. დენისი ე. მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისთვის, თბილისი, 2009;
3. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. რეკომენდაცია 1804 (2007), სახელმწიფო, რელიგია, სეკულარობა და ადამიანის უფლებები;
4. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, მუხლი 6 (1);
5. მანანა ვარდიაშვილი (2014) ნარკოპოლიტიკა- წამალდამოკიდებულებთან ბრძოლის იარაღი;
6. მედია ეთიკა და პროფესიული სტანდარტები, მედიის განვითარების ფონდი, MDF 2013.

http://www.mdfgeorgia.ge/uploads/library/11/file/MDF-BOOK-Final_WEB.pdf

7. ჟურნალისტური ეთიკა და თვითრეგულირების მექანიზმები. თავისუფლების ინსტიტიტი, თბილისი, 2003;
8. რუსუდან ვარსიმაშვილი, შრომის უფლება, როგორც სოციალური უფლება საქართველოში და მისი საკანონმდებლო ხარვეზები;
9. „საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო“(2015) „მოსახლეობა მედიისგან სოციალური პრობლემების გაშუქებას ელის“.
http://www.transparency.ge/ge/content/stub-580
10. საქართველოს ჟურნალისტური ეტიკის ქარტია, თბილისი, 2010;
11. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 30, 15.10.2010. N3710;
12. საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 2, შრომითი ურთიერთობა, 2. საქართველოს 2013 წლის 12 ივნისის ორგანული კანონი N729;
13. სახალხო დამცველის აპარატი, საპარლამენტო ანგარიში 2016;

14. ზვიად ავალიანი (2017) „რა უნდა ვიცოდეთ ნარკოპოლიტიკის შესახებ“.

15. DenisChong, James N. Druckman – A Theory Of Framing And opinion Formation In Competitive Elite Enviroments (2007);

16. Entman, R. (1993). Framing: Toward clarification of a fractured paradigm. Journal of Communication 43(4), 51-58;

17. Gamson Lasch 198312. ,,Media Effects: Advances in Theory and Research". Jennings Bryant, Mary Beth Oliver. (2008).

18. Melvin L. DeFleur 2009. Mass Communication Theories: Explaining Origins, Processes, and Effects.

19. ,,Mass Communication Theory". Denis McQuail. (2010).

https://books.google.ge/books?id=CvcvLsDxhvEC&printsec=frontcover&source=gbs_ge_summary_r&cad=0#v=onepage&q&f=false

20. Tewksbury, Scheufele, 2007;

21. K. H. Jamieson, P. Waldman – The Press Effect, 2003, p. 8;

22. ონლაინგამოცემები:

On.ge

Tabula.ge

Ambebi.ge

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Dariko Chubinidze

# The representation of protest movements in Georgian media

**(According to the online publications: "on.ge", "tabula.ge", "ambebi.ge")**

Mass communication and Media studies

In partial fulfillment of requirements for the degree of Master of Mass communication and Media studies

Supervisor: Mari Tsereteli

Associate Professor

Tbilisi, 2018